



## შპს „თეგეტა მოტორსი“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„თეგეტა მოტორსი“

(საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205)

„თეგეტა ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია


2020 წლის ფისკალური წლის პირველი ნახევრის ფინანსური ინფორმაცია არა-  
აუდირებულია და ეფუძნება მენეჯმენტის გათვლებს.

(მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენად)

კომპანიის ყველა ანგარიში გამოქვეყნებული იქნება „თეგეტა ჯგუფის“ ვებ-გვერდზე:

<https://tegetamotors.ge/ka/for-investors/shualeduri-finansuri-angarishgeba--araaudirebuli->

კომპანიის ყველა ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება სს „საქართველოს საფონდო  
ბირჟის“ ვებ-გვერდზე [www.gse.ge](http://www.gse.ge)

  
ვახტანგ კაჭარავა  
ფინანსური დირექტორი

# შპს „თეგეტა მოტორსი“

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური  
ანგარიშგებები (არააუდირებული)

*2020 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვსი თვისთვის*

შპს „თეგეტა მოტორსი“

ფინანსური მდგომარეობის შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება (არააუდირებული)

ექვსი თვისთვის, რომელიც მთავრდება 30 ივნისს

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2020 წლის 30 ივნისი	2019 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	101,799	104,047
აქტივების გამოყენების უფლება		16,667	18,161
არამატერიალური აქტივები		5,579	5,295
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		256	462
წინასწარ გადახდილი იჯარა		-	-
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები		1,369	1,272
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		97	82
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>125,767</b>	<b>129,319</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივი		1,432	1,268
მარაგები	5	100,886	115,310
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		66,034	52,485
გადახდილი ავანსები		22,877	6,745
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		1,912	1,478
გაცემული სესხები		1,312	2,161
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		15,857	22,805
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>210,310</b>	<b>202,260</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>336,077</b>	<b>331,579</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი		44,733	44,733
გაუნაწილებელი მოგება		55,404	60,441
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>100,137</b>	<b>105,174</b>
<b>ვალდებულებები</b>			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	6	78,457	79,888
საიჯარო ვალდებულებები		10,455	14,934
საგარანტიო ანარიცხები		3,681	3,278
სახელშეკრულებო ვალდებულებები		149	600
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>92,742</b>	<b>98,700</b>
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	6	51,364	31,909
საიჯარო ვალდებულებები		8,474	4,130
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		38,406	63,192
საგარანტიო ანარიცხები		2,188	1,847
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		4,180	5,491
სახელშეკრულებო ვალდებულებები		38,586	21,136
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>143,198</b>	<b>127,705</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>235,940</b>	<b>226,405</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>336,077</b>	<b>331,579</b>

ვახტანგ კაჭარავა  
ფინანსური დირექტორი

შპს „თეგეტა მოტორსი“

ფინანსური მდგომარეობის შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება (არაუდიტირებული)

ექვსი თვისთვის, რომელიც მთავრდება 30 ივნისს

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2020 წლის 30 ივნისი	2019 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	4	101,799	104,047
აქტივების გამოყენების უფლება		16,667	18,161
არამატერიალური აქტივები		5,579	5,295
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		256	462
წინასწარ გადახდილი იჯარა		–	–
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები		1,369	1,272
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		97	82
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>125,767</b>	<b>129,319</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივი		1,432	1,268
მარაგები	5	100,886	115,310
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		66,034	52,485
გადახდილი ავანსები		22,877	6,745
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		1,912	1,478
გაცემული სესხები		1,312	2,161
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		15,857	22,805
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>210,310</b>	<b>202,260</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>336,077</b>	<b>331,579</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი		44,733	44,733
გაუნაწილებელი მოგება		55,404	60,441
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>100,137</b>	<b>105,174</b>
<b>ვალდებულებები</b>			
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
სესხები	6	78,457	79,888
საიჯარო ვალდებულებები		10,455	14,934
საგარანტიო ანარიცხები		3,681	3,278
სახელშეკრულებო ვალდებულებები		149	600
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>92,742</b>	<b>98,700</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
სესხები	6	51,364	31,909
საიჯარო ვალდებულებები		8,474	4,130
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		38,406	63,192
საგარანტიო ანარიცხები		2,188	1,847
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		4,180	5,491
სახელშეკრულებო ვალდებულებები		38,586	21,136
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>143,198</b>	<b>127,705</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>235,940</b>	<b>226,405</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>336,077</b>	<b>331,579</b>

შპს „თეგეტა მოტორსი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება (არააუდიტირებული)

ექვსი თვისთვის, რომელიც მთავრდება 30 ივნისს

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	7	222,096	269,416
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	8	(184,837)	(231,335)
<b>საერთო მოგება</b>		<b>37,259</b>	<b>38,081</b>
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(22,181)	(21,916)
რელიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები		(5,272)	(5,331)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,570	1,312
სხვა საოპერაციო ხარჯები		(1,405)	(2,032)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება</b>		<b>9,971</b>	<b>10,114</b>
ფინანსური შემოსავალი		419	51
ფინანსური ხარჯები		(15,328)	(14,749)
მეკავშირე საწარმოების შედეგების წილი		–	(106)
<b>(ზარალი) / მოგება დაბეგრამდე</b>		<b>(4,938)</b>	<b>(4,690)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი		(99)	(144)
<b>წლის (ზარალი) / მოგება</b>		<b>(5,037)</b>	<b>(4,834)</b>
სხვა სრული შემოსავალი		–	–
<b>მთლიანი სრული (ზარალი) / შემოსავალი</b>		<b>(5,037)</b>	<b>(4,834)</b>

შპს „თეგეტა მოტორსი“

კაპიტალის ცვლილებების შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება (არააუდირებული)

ექვსი თვისთვის, რომელიც მთავრდება 30 ივნისს

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	18,133	60,753	78,886
ფასს 16-ის მიღების ეფექტი	–	(395)	(395)
დაკორექტირებული ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	18,133	60,358	78,491
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(4,834)	(4,834)
<b>ნაშთი 2019 წლის 30 ივნისს</b>	<b>18,133</b>	<b>55,524</b>	<b>73,657</b>
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	44,733	60,441	105,174
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(5,037)	(5,037)
<b>ნაშთი 2020 წლის 30 ივნისს</b>	<b>44,733</b>	<b>55,404</b>	<b>100,137</b>

**შპს „თეგეტა მოტორსი“**

**ფულადი ნაკადების შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება (არააუდირებული)**

**ექვსი თვისთვის, რომელიც მთავრდება 30 ივნისს**

*(თანხები მოცემულია ათას ლარში)*

	2020	2019
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
(ზარალი) / მოგება დაბეგვრამდე	(4,938)	(4,690)
კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებებისა და საიჯარო აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	4,879	4,465
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	353	299
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი ზარალის ანარიცხი / (ამობრუნება)	235	476
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა	252	(29)
გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ამობრუნება) / ანარიცხი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	(267)	(51)
საპროცენტო ხარჯი	9,448	6,525
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი / (შემოსულობა)	5,586	8,328
ნაპატიები სავაჭრო ვალდებულებები	(18)	(47)
მარაგების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	565	476
მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული შედეგების წილი	-	106
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე</b>	<b>16,095</b>	<b>15,858</b>
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(13,634)	(29,955)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(16,132)	51
ცვლილებები მარაგებში	13,859	(25,433)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(25,555)	25,833
ცვლილებები საგარანტიო ანარიცხებში	744	146
ცვლილებები გარანტიებთან დაკავშირებულ აქტივში	(261)	(145)
ცვლილებები სახელშეკრულებო ვალდებულებებში	16,999	(5,733)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(1,311)	(772)
<b>ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში</b>	<b>(25,291)</b>	<b>(36,008)</b>
გადახდილი მოგების გადასახადი	(525)	(263)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(9,721)</b>	<b>(20,413)</b>
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,242)	(13,458)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	-	(72)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(637)	(1,275)
გაცემული სესხების დაფარვა	1,105	10
მიღებული პროცენტი	189	80
<b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(2,585)</b>	<b>(14,715)</b>
<b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>		
სესხების აღება	41,973	110,719
სესხების დაფარვა	(26,491)	(80,629)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(904)	(2,670)
გადახდილი პროცენტი	(9,177)	(5,352)
გადახდილი დივიდენდები	-	-
<b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>5,401</b>	<b>22,068</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(43)	(2,639)
<b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)</b>	<b>(6,948)</b>	<b>(15,699)</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	22,805	21,423
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>15,857</b>	<b>5,724</b>

## შპს „თეგეტა მოტორსი“

2020 წლის პირველი 6 თვის შუალედური კონსოლიდირებული (არააუდიტირებული) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

### 1. შპს „თეგეტა მოტორსის“ ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „თეგეტა მოტორსის“ („კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომერია . კომპანია დარეგისტრირდა 2001 წლის 26 აპრილს და ის საქართველოში ფუნქციონერებს. კომპანია შეიქმნა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ, #5.

კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა:

აქციონერები	2020	2019
შპს „თი ჯი ემ ჯგუფი“	90.27%	76.0%
ზაურ ცხადაძე, საქართველოს მოქალაქე	8.51%	21.0%
ბექა ქილიფთარი, საქართველოს მოქალაქე	0.61%	1.5%
თინა კოხოძე, საქართველოს მოქალაქე	0.61%	1.5%

2019 წლის 12 ოქტომბერს პარტნიორებმა ხმების უმრავლესობით მიიღეს გადაწყვეტილება კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ და განახორციელეს 26,600 ლარის ოდენობით ნაღდი ფულის შენატანი. შედეგად მიღებული წილების გადანაწილება ფორმალურად 2020 წლის პირველ ნახევარში დარეგისტრირდა.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ბატონი თემურ კოხოძეა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტომობილის იმპორტირებული საბურავების, საპოხი მასალების, აკუმულატორების და სხვა სათადარიგო ნაწილების გაყიდვა, ასევე ავტომობილების ტექნიკური და სარემონტო მომსახურებების გაწევა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განთავსებულ მომსახურების ობიექტებში. კომპანია ფლობს 26 რეგიონალურ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტს მთელს საქართველოში და ერთ ადმინისტრაციულ ოფისს თბილისში.



**შპს „თეგეტა მოტორსი“**

**2020 წლის პირველი 6 თვის შუალედური კონსოლიდირებული (არააუდიტირებული) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები**

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**1. შპს „თეგეტა მოტორსის“ ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)**

**1.1 შვილობილი კომპანიები**

კომპანია შემდეგი საწარმოების მშობელი კომპანიაა (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“), რომლებიც შესულია ჯგუფის შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში:

შვილობილი კომპანია	საქმიანობა	წილი / ხმის უფლება (%)	
		2020 წლის 30 ივნისი	2019 წლის 31 დეკემბერი
<b>პირდაპირი შვილობილი კომპანიები</b>			
შპს „თეგეტა თრაქ & ბას“	სატრანსპორტო სატვირთო მანქანების, ავტობუსებისა და ტრაილერების ვაჭრობა	100%	100%
შპს „თეგეტა კონსტრასქენ ექვიფმენტ“	მძიმე სამშენებლო ავტომობილების ვაჭრობა	100%	100%
შპს „თეგეტა პრემიუმ ვიქტლს“	პორშესა და მაზდას ბრენდის ავტომობილების ვაჭრობა	100%	100%
შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“	ტოიოტას ბრენდის ავტომობილების ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%
შპს „თეგეტა ლიზინგი“	მძიმე სამშენებლო ავტომობილების იჯარა	100%	100%
შპს „თეგეტა აკადემია“	ავტომობილების მომსახურების ტრენინგ ცენტრი	100%	100%
შპს „სკანდინავიან ავტო თეგეტა“	ვოლვოს ბრენდის ავტომობილების ვაჭრობა	100%	100%
შპს „თეგეტა დისტრიბუცია“	საბითუმო და საცალო ვაჭრობა ავტომობილის ნაწილებით და აქსესუარებით	100%	–
შპს „თეგეტა ავტომოტივ იმპორტი“	საბითუმო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით	100%	–
შპს „თი-ბი-ეი თეგეტა“	საცალო ვაჭრობა ავტომობილებით და მომსახურება	100%	–
შპს „თეგეტა პრაიმ პროდაქტს“	საბითუმო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით	100%	–
შპს „თეგეტა ინდასტრი“	სამრეწველო პროდუქციის იმპორტი, ექსპორტი, რეალიზაცია	100%	–
შპს „თეგეტა მოტორს თელავი“	არააქტიური	100%	100%
შპს „თეგეტა მოტორს ახალციხე“	არააქტიური	100%	100%
შპს „თეგეტა ლოგისტიკა“	არააქტიური	100%	100%
შპს „Geoprotector“	არააქტიური	60%	60%
შპს „თეგეტა მოტორსი ცენტრალური აზია“	არააქტიური	100%	100%
შპს „თეგეტა მოტორს ბაქო“	არააქტიური	100%	100%
შპს „აგროსერვისი“	არააქტიური	100%	100%

ყველა შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში, „თეგეტა მოტორს ბაქოს“ და „თეგეტა მოტორს ცენტრალური აზიის“ გარდა, რომლებიც აზერბაიჯანის და უზბეკეთის (შესაბამისად) იურისდიქციის ქვეშ ფუნქციონირებენ.

2020 წლის 15 ივნისს კომპანიამ ახალი შვილობილი კომპანია დაარსა - შპს „თეგეტა ინდასტრი“, რომლის მიზანიც არის სამრეწველო პროდუქტის იმპორტი, ექსპორტი, რეალიზაცია. ამასთანავე კომპანიამ 2020 წლის პირველ ნახევარში დაარსა შემდეგი შვილობილი კომპანიები - შპს „თეგეტა დისტრიბუცია“, შპს „თეგეტა ავტომოტივ იმპორტი“, შპს „თი-ბი-ეი თეგეტა“ და შპს „თეგეტა პრაიმ პროდაქტს“, აღნიშნული კომპანიები ფუნქციონირებენ სატრანსპორტო სექტორში.

**1.2 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა**

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რაც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასაც. შესაბამისად, შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

**შპს „თეგეტა მოტორსი“**

**2020 წლის პირველი 6 თვის შუალედური კონსოლიდირებული (არააუდირებული) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები**

*(თანხები მოცემულია ათას ლარში)*

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა**

**(ა) კონსოლიდაციის საფუძველი**

შუალედური კონსოლიდირებული (არააუდირებული) ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებს 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შექმნილი ან გაყიდული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შექმნის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის შიგნით ყველა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადები, რომელიც უკავშირდება ჯგუფის წევრებს შორის ტრანსაქციებს სრულად უქმდება კონსოლიდაციის დროს.

შვილობილ კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღრიცხება როგორც კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო წილის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება რეალური ღირებულებით.

**(i) ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში**

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრებები შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. ჯგუფის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით.

**(ბ) შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან**

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, ე.ი. როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს. ნორმალური საკრედიტო ვადაა საქონლის გადაცემის მომენტიდან 30-დან 90 დღემდე. შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც ჯგუფი მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. ჯგუფი განსაზღვრავს ამგვარ ოპერაციებში პრინციპალის სახით გამოდის თუ - აგენტის, კლიენტისთვის მისი დაპირების ხასიათიდან გამომდინარე. ჯგუფი არის პრინციპალი და შემოსავალს ბრუტო სახით აღრიცხავს, თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს, სანამ მათ კლიენტს გადასცემს. ჯგუფმა ზოგადად დაასკვნა, რომ ის პრინციპალია შემოსავლების მომტან გარიგებებში, გარდა აგენტის მომსახურებებისა, რადგან ის ტიპიურად აკონტროლებს საქონელს, მისი კლიენტზე გადაცემამდე.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (ბ) შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან (გაგრძელება)

შემოსავლები გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება დროის გასვლის შემდეგ გამოყენებული რესურსების მეთოდის გამოყენებით, რათა ჯგუფმა შეაფასოს მომსახურების სრულად შესრულების პროგრესი, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფის მიერ მისთვის შეთავაზებულ სარგებელს.

ჯგუფი განიხილავს არსებობს თუ არა ხელშეკრულებაში სხვა დაპირებებიც, რომლებიც განცალკევებულია შესასრულებელი მოვალეობისგან, რომელზეც უნდა გადანაწილდეს ოპერაციის ფასის ნაწილი. (მაგ. გარანტიები, კლიენტთა წახალისების ქულები და სხვ.). საქონლის გაყიდვის და მომსახურების გაწევის ოპერაციის ფასის განსაზღვრისას, ჯგუფი განიხილავს ცვლადი საზღაურების ეფექტებს.

#### (i) ცვლადი ანაზღაურება

როდესაც ხელშეკრულებით დაპირებული ანაზღაურება მოიცავს ცვლებად თანხას, ჯგუფი აფასებს ანაზღაურების იმ ოდენობას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს იგი მომხმარებლისათვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ცვლადი ანაზღაურება განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი, რომ შემდგომში, ცვლებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის პრობლემის გადაჭრის დროს, დაგროვილი აღიარებული შემოსავლების სიდიდე მნიშვნელოვნად არ შემცირდება. სათადარიგო ნაწილების გაყიდვის რამდენიმე ხელშეკრულება მომხმარებლებს აძლევს დაბრუნების და მოცულობის გამო ფასდაკლების უფლებას. შემოსავლებზე უფლებები და მოცულობის გამო ფასდაკლებები ცვლად ანაზღაურებებს წარმოშობს.

#### (ii) დაბრუნების უფლება

კონკრეტული ხელშეკრულებები კლიენტებს ანიჭებს მითითებულ პერიოდში საქონლის დაბრუნების უფლებას. ჯგუფი დაუბრუნებელი საქონლის შესაფასებლად მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს იყენებს, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ახდენს ჯგუფის მიერ მისაღები ცვლადი საზღაურის პროგნოზირებას. ფასს 15-ის მოთხოვნები ცვლადი საზღაურის შეფასების შეზღუდვის შესახებ ასევე გამოიყენება ისეთი ცვლადი საზღაურის თანხის განსაზღვრად, რომელიც შესაძლოა შევიდეს ოპერაციის ფასში. დასაბრუნებელი საქონელი, რომელსაც ჯგუფი მიიღებს შემოსავლის ნაცვლად, აღიარდება დაბრუნებული ვალდებულების სახით.

#### (iii) მოცულობის გამო ფასდაკლება

ჯგუფი კონკრეტულ კლიენტებს სთავაზობს მოცულობის გამო რეტროსპექტულ ფასდაკლებას მას შემდეგ, რაც პერიოდის განმავლობაში შექმნილი პროდუქტების რაოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ნორმას. ფასდაკლებები გაიქვითება მომხმარებლის ვალდებულებების თანხით. მოსალოდნელი მომავალი ფასდაკლებების ცვლადი საზღაურის შესაფასებლად, ჯგუფი უმეტესად იყენებს რაოდენობრივ მეთოდს რამდენიმე მოცულობის ნორმის მქონე ხელშეკრულებებისთვის და მოსალოდნელი ფასის მეთოდს - ერთზე მეტი მოცულობის ნორმის მქონე ხელშეკრულებებისთვის. შერჩეული მეთოდი, რომელიც საუკეთესოდ ახდენს ცვლადი საზღაურის თანხის პროგნოზირებას, პირველ რიგში განპირობებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრული მოცულობის ნორმების რაოდენობით. ამის შემდეგ ჯგუფი იყენებს ცვლადი საზღაურის შეზღუდული შეფასებების მოთხოვნებს და დაბრუნების ვალდებულებას აღიარებს მოსალოდნელი მომავალი ფასდაკლებებისთვის.

#### (iv) მომხმარებელთა წამახალისებელი ქულების პროგრამა

2013 წლის სექტემბრის შემდეგ, ჯგუფში მოქმედებს წამახალისებელი ქულების პროგრამა, რომელიც კლიენტს ქულების დაგროვების შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც მომავალში შესაძლოა გამოყენებულ იქნას საქონლის უფასოდ მისაღებად. წამახალისებელი ქულები წარმოქმნის ცალკე შესასრულებელ მოვალეობას, რადგან ისინი მატერიალურ უფლებას ანიჭებს კლიენტს. ოპერაციის ფასის ნაწილი გადანაწილდება კლიენტისთვის მინიჭებულ წამახალისებელი ქულებზე შესაბამისი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასის საფუძველზე და ქულების გახარჯვამდე აღიარდება სახელშეკრულებო ვალდებულების სახით. შემოსავალი აღიარდება კლიენტის მიერ წამახალისებელი ქულების გახარჯვისთანავე.

შპს „თეგეტა მოტორსი“

2020 წლის პირველი 6 თვის შუალედური კონსოლიდირებული (არააუდირებული) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (ბ) შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან (გაგრძელება)

#### (i) საგარანტიო ვალდებულება

ტიპურად ჯგუფი იძლევა გარანტიას დეფექტების გენერალურ რემონტზე და დაზიანებული ერთეულ(ებ)ის გამოცვლაზე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ გაყიდული პროდუქტები შეესაბამებოდეს შეთანხმებულ სპეციფიკაციებს. მარწმუნებელი ტიპის გარანტიები აღირიცხება - ბასს 37-ის (ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები) შესაბამისად.

#### (v) სათადარიგო ნაწილების და მათი გამოცვლის მომსახურების პაკეტებად გაყიდვა

ჯგუფი უზრუნველყოფს საკუთარ მაღაზიებში შექმნილი სათადარიგო ნაწილების გამოცვლისა და სარემონტო მომსახურებებს. ეს მომსახურებები ზოგჯერ კლიენტებზე ცალკე ან პაკეტებად იყიდება, სათადარიგო ნაწილების გაყიდვასთან ერთად.

გაწეული მომსახურებების პაკეტებად გაყიდვების ხელშეკრულებები ორ შესასრულებელ მოვალეობას მოიცავს, რადგან გაყიდული საქონლის გადაცემის და მომსახურების გაწევის დაპირება შესაძლოა იყოს გამორჩეული და ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი. შესაბამისად, ჯგუფი გარიგების ფასის განაწილებას ახდენს საქონლის და გაწეული მომსახურებების შესაბამისი განცალკევებული სარეალიზაციო ფასების საფუძველზე. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს კონკრეტულ მომენტში გაწეული მომსახურებებიდან და მოწყობილობის გაყიდვიდან, შესაბამისი განცალკევებული ფასის შესაბამისად.

### სახელშეკრულებო ნაშთები

#### სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი არის ჯგუფის მიერ მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებული უფლება. თუ ჯგუფი კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებულ ანაზღაურებად. ჯგუფი არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

#### სავაჭრო მოთხოვნა

სავაჭრო მოთხოვნა წარმოადგენს ჯგუფის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

#### სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც ჯგუფს კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს ჯგუფის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების შემოსავლად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

შპს „თეგეტა მოტორსი“

2020 წლის პირველი 6 თვის შუალედური კონსოლიდირებული (არააუდირებული) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (გ) ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები მოიცავს შემდეგს:

საპროცენტო შემოსავალი;

საპროცენტო ხარჯი;

საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე;

საკურსო ცვლილებით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი სხვა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;

ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული სხვა დანახარჯები.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციამა, თუ წმინდა ზარალის.

სესხები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივის შექმნას, მშენებლობას და წარმოებას აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### (დ) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში, რომელიც ამავდროულად მშობელი კომპანიის სამუშაო ვალუტაა. ჯგუფი თითოეული წევრისთვის განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. ჯგუფი იყენებს კონსოლიდაციის პირდაპირ მეთოდს და უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაყიდვისას შემოსულობა ან ზარალი (რომელიც მოგებაში ან ზარალშია რეკლასიფიცირებული) ასახავს იმ თანხას, რომელიც წარმოიქმნება პირდაპირი მეთოდის გამოყენებიდან.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

### (ე) გადასახადები

#### მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (ე) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღრიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

### **დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)**

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღრიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

როდესაც აქტივებისა და მომსახურებების შესყიდვისას წარმოშობილი ბრუნვის გადასახადი არის დაუბრუნებადი საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა აისახება როგორც საგადასახადო დავალიანება (მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები), (მოგების გადასახადის გარდა), რომლებიც წმინდა სახით აღრიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### **საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა**

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებებს სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების შექმნით. ამიტომ ჯგუფი თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

### (ვ) მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან

აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანად არის კლასიფიცირებული.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (ზ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო დანახარჯები. სათანადო ნაწილების და სხვა მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების შექმნაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ავტომობილების თვითღირებულება განისაზღვრება სპეციფიკური იდენტიფიცირების საფუძველზე.

### (თ) ძირითადი საშუალებები

#### აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. დანახარჯები მოიცავს აქტივის შექმნასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომისა და ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად; ერთეულების დემონტაჟის და ობიექტიდან გატანის ხარჯებს და იმ სამუშაო მოედნის აღდგენას, სადაც განთავსებულია ისინი, ასევე სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი. დაუმთავრებელი

მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად) და მათზე ცვეთა ცალკე დაირიცხება, შესაბამისი სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალებების განკარგვით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების შედარებით და მოგებაში ან ზარალში წმინდა ფორმით აღიარდება სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯის კატეგორიაში.

#### ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლებას.

ცვეთა აღიარება მოგებაში ან ზარალში ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთა დაირიცხება იჯარის ყველაზე მოკლე ვადის და მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სანამ გონივრულ ფარგლებში არ გახდება აშკარა, რომ ჯგუფი იჯარის ვადის ბოლოსთვის მასზე საკუთრების უფლებას მიიღებს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის არის შემდეგი:

შენობა-ნაგებობები	30-დან 50 წლამდე;
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	3-დან 10 წლამდე;
საოფისე აღჭურვილობა, ავტომობილები და სხვ.	2-დან 10 წლამდე.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (თ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

#### *სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები*

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

### (ი) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისთვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამისი ხარჯის კატეგორიაში. ჯგუფის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა 6 -დან 15 წლამდეა.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს (ე.ი. იმ თარიღში, როდესაც ხდება კონტროლის მიღება) ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტისას მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში.

### (კ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

#### (i) ფინანსური აქტივები

##### *თავდაპირველი აღიარება და შეფასება*

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.



## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად ჯგუფის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

### **შემდგომი შეფასება**

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);

სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

### **ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)**

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და

ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და გაცემულ სესხებს.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

#### *ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-4 შენიშვნა;

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

#### *ალიარების შეწყვეტა*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ალიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან

ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადაცემული აქტივის ალიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც ალიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

### *(ii) ფინანსური ვალდებულებები*

#### *თავდაპირველი ალიარება და შემდგომი შეფასება*

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების ალიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

#### *შემდგომი შეფასება*

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

#### *სესხები*

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. თავდაპირველი ალიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის ალიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების ალიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

#### *აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღიარდება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

#### *(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა*

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

#### *(ლ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება*

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაუფასურების დასადგენად აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო, ჯგუფი აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღობვა, რომლებიც მტკიცებულა დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად სახსრებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (ლ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადავასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადავასებული ღირებულების ზრდა.

### (მ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;

მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები

აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებებისთვის შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;

დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებებში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (ნ) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ ის კომპანიაში მფლობელებმა შეიტანეს.

### (ო) ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაზრები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაზრები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან ანაზრებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია, რაც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან და მოკლევადიანი ანაზრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ჯგუფის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად ითვლება.

### (პ) ანარიცხები

#### ზოგადი ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს განვლილი მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად განხორციელებადია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგრამდე განაკვეთით, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

#### საგარანტიო ანარიცხები და დაკავშირებული აქტივი

ჯგუფი გასცემს გარანტიებს გენერალური რემონტის და დეფექტური ერთეულ(ებ)ის გამოცვლაზე, ასევე მწარმოებლის სპეციფიკაციების შესაბამის პროდუქტების გამოცვლაზე. ამ რწმუნებულების მსგავს გარანტიებთან დაკავშირებული ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც იყიდება პროდუქტი ან კლიენტს გაეწევა მომსახურება. თავდაპირველი აღიარება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება. თავდაპირველად შეფასებულ გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები ყოველწლიურად გადაისინჯება.

ჯგუფი განცალკევებით აღიარებს გარანტიასთან დაკავშირებულ აქტივს, მწარმოებლისგან საგარანტიო ანაზღაურების უფლების აღრიცხვის მიზნით, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად განხორციელებადია.

### (ჟ) იჯარა

#### განსაზღვრება იმისა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის განსაზღვრული შეთანხმებაში.

შპს „თეგეტა მოტორსი“

2020 წლის პირველი 6 თვის შუალედური კონსოლიდირებული (არააუდირებული) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (ჟ) იჯარა (გაგრძელება)

#### *ჯგუფი, როგორც მოიჯარე*

ჯგუფი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდებისა და გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივებისთვის, რაც საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

ჯგუფი სხვადასხვა ოფისს, საწყობს, მიწის ნაკვეთს, საცალო მომსახურების მაღაზიას, მოწყობილობასა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებს იღებს იჯარით. საიჯარო ხელშეკრულებები ჩვეულებრივ ფიქსირებული პერიოდით - 6 თვიდან 8 წლამდე ფორმდება.

#### *(i) გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები*

ჯგუფი აღიარებს გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებს იჯარის დაწყების თარიღში. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივი თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, შემდგომ თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების შეფასების თანხით. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდებლების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებს ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, შემდეგი სახით:

მანქანა-დანადგარები 3-დან 15 წლამდე

სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოწყობილობები 3-დან 5 წლამდე

თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის ჯგუფზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში (მ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება.

#### *(ii) საიჯარო ვალდებულებები*

იჯარის დაწყების თარიღში, ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდებლების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდებლები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზე დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. საიჯარო გადასახდებლები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლებით სარგებლობის ღირებულებას, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა ჯგუფის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფს, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.

რამდენიმე ქონების იჯარა მოიცავს ცვლად გადახდის პირობებს, რომლებიც, თავის მხრივ მაღაზიიდან გენერირებულ გაყიდვებს უკავშირდება. ცვლადი საიჯარო გადასახდებლები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით (სანამ მათი გაწევა არ ხდება მარაგების საწარმოებლად) იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (ე) იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში გათვალისწინებული პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო გადახდების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშვება ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.

გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივებიც და საიჯარო ვალდებულებებიც განცალკევებული ერთეულების სახით არიან წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ანგარიშგებაში.

### (iii) მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას შენობების, საოფისე ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლები თვის საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის, ასევე, ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, საოფისე აღჭურვილობის იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

### ჯგუფი, როგორც მეიჯარე

იჯარა, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

## 3. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შემოეხილავდა აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ბასს 1-ის 69-დან 76-მდე პუნქტების ცვლილება - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილება) მოკლე და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიცირების მოთხოვნების განსასაზღვრად.

ფასს 17 - „სადაზღვეო ხელშეკრულებები“ (გამოცემული 2017 წლის 18 მაისს); მათ შორის ფასს 17-ის ცვლილება (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს) ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 4-ის („სადაზღვეო ხელშეკრულებები“) ცვლილება - ფასს 19-ის გადადება (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს) ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 3-ის („საწარმოთა გაერთიანება“), ბასს 16-ის („ძირითადი საშუალებები“; ბასს 37-ის („ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“) ცვლილება; ცვლილება ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან.

ბასს 16 („ძირითადი საშუალებები“) კომპანიას უკრძალავს ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან გამოქვითოს იმ გასაყიდი ერთეულებიდან მიღებული თანხები, რომლებიც იწარმოება კომპანიის მიერ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის მომზადების პროცესში. ამის ნაცვლად, კომპანია აღიარებს გაყიდვიდან ამგვარ ამონაგებ თანხას და დაკავშირებულ ხარჯებს მოგებაში ან ზარალში; ცვლილება ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან.



**3. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)**

ბასს 37 („ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“) განსაზღვრავს, რა ხარჯებს ითვალისწინებს კომპანიას ხელშეკრულების ზარალიანობის შეფასებაში. ცვლილება ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან.

ყოველწლიური გაუმჯობესებები უმნიშვნელოდ ცვლიან ფასს 1-ს („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“), ფასს 9-ს („ფინანსური ინსტრუმენტები“), ბასს 41-ს („სოფლის მეურნეობა“) და ფასს 16-ის („იჯარა“) თანმდევ გამოსახულებებს. ცვლილება ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან.

ბასს 1-ის ცვლილება „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“: აქტივების მოკლე ან გრძელვადიანად კლასიფიკაცია (გამოიცა 2020 წლის 23 იანვარს) - ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან (ბასსს-მ გამოსცა წინასწარი პროექტი ძალაში შესვლის თარიღის 2023 წლის 1 იანვრამდე გადასატანად).

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებებში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

**მოსაზრებები**

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებზე.

**სათადარიგო ნაწილების და მათი გამოცვლის მომსახურებების პაკეტებად გაყიდვასთან დაკავშირებით შესასრულებელი ვალდებულებების განსაზღვრა**

ჯგუფი გასწევს ნაწილების გამოცვლის მომსახურებებს, რომლებიც იყიდება პაკეტებად, კლიენტებზე საქონლის გაყიდვასთან ერთად. გაწეული მომსახურებები მომავალში მომსახურებების გადაცემის დაპირებას და ჯგუფსა და კლიენტს შორის შეთანხმებული გაცვლა-გამოცვლის მომსახურების ნაწილს წარმოადგენენ.

ჯგუფმა განსაზღვრა, რომ საქონელი და მომსახურებები შესაძლოა განცალკევებადი იყოს. ფაქტი, რომ ჯგუფი საქონლისა და მომსახურების გასაყიდ ფასებს ცალ-ცალკე აღრიცხავს საფუძველზე იმაზე მეტყველებს, რომ კლიენტმა შესაძლოა ორივედან მიიღოს სარგებელი. შესაბამისად, ჯგუფმა გარიგების ფასის ნაწილი გადაანაწილა საქონლის გაყიდვაზე და მომსახურებების გაწევაზე განცალკევებული ფასები მიხედვით. ჯგუფი ხელშეკრულების დაწყებისას თითოეული განსხვავებული საქონლის ან მომსახურებისათვის განსაზღვრავს განცალკევებულ გასაყიდ ფასს, რომელიც საფუძველად უდევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებას და გარიგების ფასს ანაწილებს ამ განცალკევებული გასაყიდი ფასების პროპორციულად.

**შეფასებები და დაშვებები**

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები, ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან ვითარებების ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

შპს „თეგეტა მოტორსი“

2020 წლის პირველი 6 თვის შუალედური კონსოლიდირებული (არააუდირებული) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

ჯგუფი იყენებს რეზერვების მატრიცას სავაჭრო დებიტორული დავალიანებების და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე.

საგარანტიო ვალდებულება და აქტივები

ანარიცხი აღიარდება წლის განმავლობაში გაყიდულ პროდუქტებზე მოსალოდნელი საგარანტიო მოთხოვნებისთვის, ნაწილების შეკეთებისა და გამოცვლის განვლილი გამოცდილების საფუძველზე. ანარიცხი წარმოადგენს მოცულობების დონის, პროდუქციის ასორტიმენტის და შეკეთებისა და გამოცვლის თვითღირებულების წარსული გამოცდილების საფუძველზე განხორციელებულ შეფასებას და ის საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით გაყიდულ საქონელზე ჯგუფის ვალდებულების შესასრულებლად საჭირო თანხების ხელმძღვანელობისეულ შეფასებას წარმოადგენს.

5. ძირითადი საშუალებები

მოძრაობები ჯგუფის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვი- ლობა	საოფისე აღჭურვილობა და ავტომო- ბილები	სხვა	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება	63,242	14,706	13,646	8,737	9,954	110,285
დაგროვილი ცვეთა	(6,853)	(10,063)	(7,944)	(3,917)	–	(28,777)
<b>საბალანსო ღირებულება</b>						
<b>2018 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>56,389</b>	<b>4,643</b>	<b>5,702</b>	<b>4,820</b>	<b>9,954</b>	<b>81,508</b>
შესყიდვები	3,946	1,722	3,622	6,005	14,096	29,391
გადატანები	23,619	1,968	3,487	(6,050)	(23,024)	–
გაყიდვები	–	(714)	(1,676)	(364)	–	(2,754)
ცვეთის ხარჯი	(1,127)	(1,595)	(1,786)	(1,100)	–	(5,608)
გადატანებზე დაგროვილი ცვეთა	(200)	14	(433)	619	–	–
გაყიდვებზე დაგროვილი ცვეთა	–	700	792	18	–	1,510
<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>82,627</b>	<b>6,738</b>	<b>9,708</b>	<b>3,948</b>	<b>1,026</b>	<b>104,047</b>
<b>2019 წლის 31 დეკემბრისთვის</b>						
თვითღირებულება	90,807	17,682	19,079	8,328	1,026	136,922
დაგროვილი ცვეთა	(8,180)	(10,944)	(9,371)	(4,380)	–	(32,875)
<b>საბალანსო ღირებულება</b>						
<b>2019 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>82,627</b>	<b>6,738</b>	<b>9,708</b>	<b>3,948</b>	<b>1,026</b>	<b>104,047</b>
შესყიდვები	706	766	1,151	637	188	3,448
გადატანები	230	–	36	(100)	(166)	–
გაყიდვები	(17)	(33)	(2,579)	(451)	–	(3,080)
ცვეთის ხარჯი	(750)	(980)	(1,210)	(546)	–	(3,486)
გადატანებზე დაგროვილი ცვეთა	(1)	–	2	(1)	–	–
გაყიდვებზე დაგროვილი ცვეთა	13	29	823	5	–	870
<b>საბალანსო ღირებულება</b>						
<b>2020 წლის 30 ივნისისთვის</b>	<b>82,808</b>	<b>6,520</b>	<b>7,931</b>	<b>3,492</b>	<b>1,048</b>	<b>101,799</b>
თვითღირებულება	91,726	18,415	17,687	8,414	1,048	137,290
დაგროვილი ცვეთა	(8,918)	(11,895)	(9,756)	(4,922)	–	(35,491)
<b>საბალანსო ღირებულება</b>						
<b>2019 წლის 30 ივნისისთვის</b>	<b>82,808</b>	<b>6,520</b>	<b>7,931</b>	<b>3,492</b>	<b>1,048</b>	<b>101,799</b>

**შპს „თეგეტა მოტორსი“**

**2020 წლის პირველი 6 თვის შუალედური კონსოლიდირებული (არააუდირებული) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები**

*(თანხები მოცემულია ათას ლარში)*

**6. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები**

სულ ჯგუფის გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები წარმოდგენილია მიწისა და შენობა-ნაგებობების კატეგორიაში.

თვითღირებულება	27,242
დაგროვილი ცვეთა	(5,406)

**საბალანსო ღირებულება**  
**2019 წლის 1-ლი იანვრისთვის** **21,836**

შესყიდვები	27
ცვეთის ხარჯი	(3,702)

თვითღირებულება	27,269
დაგროვილი ცვეთა	(9,108)

**საბალანსო ღირებულება**  
**2019 წლის 31 დეკემბრისთვის** **18,161**

შესყიდვები	1,615
იჯარის პირობის ცვლილება - თვითღირებულება	(3,592)
ცვეთის ხარჯი	(1,500)
იჯარის პირობის ცვლილება - დაგროვილი ცვეთა	1,983

თვითღირებულება	25,292
დაგროვილი ცვეთა	(8,625)

**საბალანსო ღირებულება**  
**2020 წლის 30 ივნისი** **16,667**

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

**2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** **19,064**

შესყიდვები	1,615
იჯარის პირობის ცვლილება	(1,609)
საპროცენტო განაკვეთის გაზრდა	876
გადახდები	(1,780)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგით გამოწვეული შედეგი	763

**2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით** **18,929**

მიმდინარე	8,474
გრძელვადიანი	10,455

შპს „თეგეტა მოტორსი“

2020 წლის პირველი 6 თვის შუალედური კონსოლიდირებული (არააუდირებული) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

7. მარაგები

	2020 წლის 30 ივნისი	2019 წლის 31 დეკემბერი
გადასაყიდად გამიზნული საქონელი (თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით)	86,610	85,508
გადაცემის პროცესში მყოფი საქონელი (თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით)	10,494	25,891
სხვა (თვითღირებულებით)	3,782	3,911
<b>სულ მარაგები</b>	<b>100,886</b>	<b>115,310</b>

2020 წლის 30 ივნისს ჯგუფის მარაგები 100,886 ლარის (2019 წ.: 115,310 ლარი) ოდენობით (შესაბამისად), დაგირავებული იყო მესამე მხარის სასარგებლოდ სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

8. სესხები

	2020 წლის 30 ივნისი	2019 წლის 31 დეკემბერი
მიღებული სესხები - გრძელვადიანი წილი	48,639	50,109
ობლიგაციები	29,818	29,779
<b>გრძელვადიანი ნაწილი</b>	<b>78,457</b>	<b>79,888</b>
მიღებული სესხები - მიმდინარე წილი	45,621	31,909
<b>მიმდინარე ნაწილი</b>	<b>45,621</b>	<b>31,909</b>
<b>სულ სესხები</b>	<b>129,821</b>	<b>111,797</b>

სესხების მოძრაობა ასე გამოიყურებოდა:

	სულ
<b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>102,057</b>
სესხების აღება	153,714
საპროცენტო ხარჯი	13,444
ძირითად საშუალებებზე კაპიტალიზებული პროცენტი	682
გადახდილი პროცენტი	(13,222)
სესხების დაფარვა	(148,060)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	3,182
<b>2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>111,797</b>
სესხების აღება	41,973
საპროცენტო ხარჯი	8,578
გადახდილი პროცენტი	(8,302)
სესხების დაფარვა	(26,491)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	2,266
<b>2020 წლის 30 ივნისს</b>	<b>129,821</b>

**შპს „თეგეტა მოტორსი“**

**2020 წლის პირველი 6 თვის შუალედური კონსოლიდირებული (არააუდიტირებული) ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები**

*(თანხები მოცემულია ათას ლარში)*

**9. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან**

	2020	2019
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	197,412	239,211
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	24,684	30,205
<b>სულ შემოსავალი</b>	<b>222,096</b>	<b>269,416</b>

ჯგუფმა აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2020 წლის 30 ივნისი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	62,881	51,218
სახელშეკრულებო ვალდებულებები - გრძელვადიანი წილი	149	600
სახელშეკრულებო ვალდებულებები - მიმდინარე წილი	38,586	21,136

**10. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება**

	2020	2019
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(174,982)	(220,461)
გაწეული მომსახურების ღირებულება:		
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	(7,420)	(7,728)
ცვეთის ხარჯი	(1,311)	(1,072)
შესყიდული მომსახურებები	(250)	(1,258)
გამოყენებული სათადარიგო მასალები	(496)	(510)
სხვა დანახარჯები	(378)	(306)
<b>სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება</b>	<b>(184,837)</b>	<b>(231,335)</b>

**11. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები**

**კოვიდ-19-ის პანდემია**

კორონავირუსის პანდემიის (კოვიდ-19) პირველი ტალღის შედეგად განვითარებული მოვლენების გამო, მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, საკარანტინო ღონისძიებები გაატარა, თუმცა აღნიშნულ ფაქტს არ გამოუწვევია ჯგუფის ოპერაციების შეჩერება, რადგან ის აკმოყოფილებდა ყველა დაწესებულ რეგულაციას. ამასთან, ჯგუფის B2B მიმართულება სრულად ფუნქციონირებადი იყო, რადგან სამშენებლო სადისტრიბუციო და ლოგისტიკური კომპანიები განაგრძობდნენ მუშაობას. ჯგუფმა მიმდინარე კრიზისული პერიოდი კარგ ფინანსურ პირობად აქცია და გონივრულად მოქმედებდა ეპიდემიის და მასთან დაკავშირებული ვითარების გავლენის შესამსუბუქებლად. წინასწარ ანაზღაურებული მარაგების გამო, კომპანიამ შესძლო საქონლის მისი კლიენტებისთვის დროულად მიწოდება.

მოსალოდნელია ასევე პანდემიის მეორე ტალღაც, თუმცა ჯგუფი ფუნქციონირების კუთხით რაიმე სახის გართულებას არ ელოდება, რადგან მას აქვს ყველა საჭირო რესურსი და ასევე გამოცდილება გაუმკლავდეს კრიზისული მდგომარეობით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ საქართველო ამ დრომდე ახერხებს მწვანე ქვეყნის სტატუსის შენარჩუნებას, ამასთანავე სახელმწიფო სექტორის მხრიდან მკაცრი შეზღუდვების ხელშეკრულებით დაწესება არ ანონსდება.